საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის

2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი 2008 წ. 12 ივნისი – 2009 წ. 31 დეკემბერი)

შესავალი — 3

I. წამების წინააღმდეგ ბრძოლა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა — 4

1. წამების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო — 4

2. OPCAT-ის საფუძველზე შექმნილი ეროვნული პრევენციული ჯგუფი — 4

3. შიდა მონიტორინგის სამსახური — 7

3.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო — 7

3.2. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო — 9

3.3. მთავარი პროკურატურა — 10

4. წამების წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის სახელმწიფო პოლიტიკა — 12

II. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და არსებული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია — 14

1. პატიმრობის კოდექსის კანონპროექტი — 14

2. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების შინაგანაწესის დახვეწა — 15

3. ეთიკის კოდექსის მიღება და იმპლემენტაცია — 16

III. თავისუფლებაშეზღუდულ პირთა პირობების გაუმჯობესება — 18

1. ჯანდაცვის სისტემა — 19

2. კვება, ჰიგიენა — 22

3. სარემონტო სამუშაოები — 23

3.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო — 23

3.2. იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო — 24

3.3. თავდაცვის სამინისტრო — 24

3.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო — 25

4. პატიმართა განათლება — 25

4.1. სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ——— *25*

4.2. სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ——— *27*

IV. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ——— ***29***

V. არასრულწლოვან პატიმართა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფა ——— ***31***

VI. სამართალდამცავთა და მოსამართლეთა პროფესიული განვითარება ——— ***32***

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო ——— *32*

2. პროკურატურა ——— *33*

3. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ——— *34*

4. სასამართლო ——— *35*

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს 2008-2009 წლების წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიშს. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა მოვლენებმა ხელი შეუშალა მთავრობის მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების დროულ განხორციელებას და ზეგავლენა მოახდინა პროცესის მიმდინარეობაზე. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო გაითვალისწინებს არსებულ პრობლემებს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის რეორგანიზაცია, კერძოდ, გაერთიანდა იუსტიციის სამინისტრო და გენერალური პროკურატურა და ამავე დროს შეიქმნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

ამასთან, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტად რჩება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა. 2008 წლის 13 დეკემბრიდან სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარების მიზნით შეიქმნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. 2009 წელს საბჭომ მიიღო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც რიგ საკითხებში ნაწილობრივ ემთხვევა წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმას. მიუხედავად ამ გარემოებისა, ორივე საბჭო დამოუკიდებლად განაგრძობს ფუნქციონირებას მათი მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო საკითხის გადაფარვის შემთხვევაში, საბჭოები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს მომდევნო სხდომაზე იუსტიციის სამინისტრო წარადგენს საბჭოს წესდებაში შესაბამისი ცვლილებების მომზადების საკითხს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოს სამდივნოს ოფიციალურ შექმნას და მისი ვალდებულებების განსაზღვრას, აგრეთვე იგეგემება საბჭოს შემადგენლობის ცვლილება.

I. წამების წინააღმდეგ ბრძოლა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა

1. წამების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო

2007 წელს წამების, არაჰუმანური და შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, მათ შორის შესაბამისი რეფორმების მონიტორინგის სრულყოფისა და კოორდინაციისათვის, პრეზიდენტის № 369 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო[1].

საბჭომ განსაზღვრა მოქმედების პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის: წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენცია, წამების მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის განვითარება წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის საქმეების გამოძიებასთან მიმართებაში. ამასთანავე, საბჭოს მიზანს წარმოადგენდა სამთავრობო და სამოქალაქო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა.

2008 წლის ზაფხულში, საბჭომ შეიმუშავა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა პრეზიდენტის № 301 ბრძანებულებით. 18-თვიანი სამოქმედო გეგმა მიმართულია პრევენციული ღონისძიებების როლის გაზრდისკენ წამების, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში და შესაბამისი ორგანოების ინსტიტუციონალური განვითარებისკენ.

2. OPCAT-ის საფუძველზე შექმნილი ეროვნული პრევენციული ჯგუფი

2005 წლის აგვისტოს საქართველოსათვის ძალაში შევიდა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმი (OPCAT). OPCAT-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს მთავრობამ

[1] აღნიშნული საბჭოს წევრები არიან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარნმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები;

განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რის შედეგადაც შეიქმნა ეროვნული პრევენციული მექანიზმი, რომელიც სრულიად პასუხობს OPCAT-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მრავალი მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრა მოეწყო ეროვნული პრევენციული მექანიზმის როლისა და მანდატის განსასაზღვრავად. აღნიშნულ შეხვედრებზე განხილებოდა ეროვნული პრევენციული მექანიზმის სხვადასხვა მოდელი. 2008 წლის დეკემბერში, საბჭოს წინაშე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა პროექტი საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისათვის ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფუნქციის მინიჭებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს ეთხოვათ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება ზემოთაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს).

გათვალისწინებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიის (თბილისში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის) და ციხის საერთაშორისო რეფორმის მიერ წარმოდგენილი წინადადებები/რეკომენდაციები და შემუშავდა განახლებული პროექტი, რომელიც საბჭომ მოგვიანებით განიხილა. ყველა შესაბამისი პირის ინტერესების შეჯერებისა და კონსესუსის საფუძველზე აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტის წინაშე 2009 წლის გაზაფხულზე.

ვინაიდან სახალხო დამცველი წარმატებულად ასრულებდა ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფუნქციებს საქართველოს OPCAT-თან შეერთებამდე, საქმიანობის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, სახალხო დამცველის ოფისს მიენიჭა ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფუნქცია. შესაბამისად 2009 წლის 16 ივლისს ცვლილებები შევიდა 1996 წლის საქართველოს ორგანულ კანონში სახალხო დამცველის შესახებ. ეროვნულ პრევენციულ მექანიზმთან დაკავშირებით კანონი ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- დანიშვნა და თანამშრომლობა: სახალხო დამცველის ოფისი ოფიციალურად განისაზღვრა ეროვნულ პრევენციულ მექანიზმად (მუხლი 3^1 (1)), რომელიც ვალდებულია ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეროვნული პრევენციულ მექანიზმის მანდატის ფარგლებში (მუხლი 3^1 (3));

- სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა (მუხლი 3^1 (2));

- თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის უფლება, თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან პირადად გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შემოწმების უფლება (მუხლი 19 (1) და (2));

- ეროვნული პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლების მაღალი პროფესიონალიზმი (მუხლი 19^1 (2));

- რიგ უწყებებთან რეკომენდაციებით მიმართვის, მათ შორის პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგენის უფლება (მუხლი 20);

- ეროვნული პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლების პრივილეგიები: უფლება - არ მისცენ ჩვენება იმ ფაქტზე, რომელიც შეიტყვეს ფუნქციების შესრულებისას (მუხლი 19[1] (5));

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ საქართველოს ორგანულ კანონში სახალხო დამცველის შესახებ გამოიყენება ტერმინი – "თავისუფლების აღკვეთის ადგილები", რაც საკმაოდ ფართოა და მოიცავს ყველა პოტენციურ და ფაქტობრივ თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილს (მაგალითად: პოლიციის განყოფილება, ფსიქიატრიული დაწესებულება, არასრულწლოვანთა სახლები, სამხედრო ბარაკები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები და ა.შ.).

სახალხო დამცველის აპარატის დებულების მიხედვით, სპეციალური პრევენციული ჯგუფი შედგება მუდმივი და მოწვეული ექსპერტებისგან. ამასთან დაკავშირებით 2009 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გამოცხადდა კონკურსი სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტთა შესარჩევად. კონკურსის შედეგად შეირჩა 24 ექსპერტი. ამჟამად ჯგუფის შემადგენლობაშია 6 მუდმივი წევრი (სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები) და 25 ექსპერტი, რომელთაგან ერთი ექსპერტი არის გაეროს სახალხო დამცველის მხარდაჭერის პროექტის თანამშრომელი. ექსპერტთა შორის არის 7 ფსიქიატრი, 4 ფსიქოლოგი, 4 ექსპერტი ბავშვზე ზრუნვის სფეროში, 2 პედიატრი, 1 ქირურგი, 1 ექსპერტი სასჯელაღსრულების სფეროში, 1 ექსპერტი სამხედრო სფეროში, 1 კვების ექსპერტი და 4 სოციალური მუშაკი.

2009 წლის აგვისტოში პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი დახურული დაწესებულებების, კერძოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგის თემაზე. ასევე, 2009 წლის ნოემბერში ექსპერტ ფსიქიატრებს და პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის სფეროში. 2009 წლის ნოემბერში დეპარტამენტის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ სტრასბურგში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებულ სემინარზე, სადაც სხვა ქვეყნების მოქმედი ეროვნული პრევენციული მექანიზმის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებდნენ მიღებულ გამოცდილებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შექმნის შემდეგ, 2009 წლის ნოემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით განხორციელდა 38 გეგმიური მონიტორინგ, ასევე, 34 არაგეგმიური (*ad hoc*) მონიტორინგი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სასჯელაღსრულებების დაწესებულებაში. ზემოაღნიშნული მონიტორინგების შედეგები ასახულია სახალხო დამცველის 2009 წლის II ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში.

3. შიდა მონიტორინგის სამსახური

სამართალდამცავ ორგანოებში შექმნილია ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის სამმართველოები, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა შიდა მონიტორინგის განხორციელების გზით. აღნიშნული სამმართველოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგს. სამოქმედო გეგმის მიხედვით სახელმწიფო ვადლებულია გაავრცელოს ინფრომაცია ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის სამმართველოების ფუნქციონირების შესახებ. სამართალდამცავი ორგანოები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

სამართალდამცავ ორგანოებში შექმნილი ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის სამმართველოები და გენინსპექციები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ამ თანამშრომლობის ერთერთი გამუხატულებაა პროკურატურისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლობა, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან ყოველდღიურად იღებს ე.წ. "კრებს", რომელიც შეიცავს საქართველოს ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მომხდარ შემთხვევათა ამსახველ ინფორმაციას, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხეულის დაზიანებებით შესახლებულ პატიმართა შესახებ ცნობებს.

3.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო

გენერალური ინსპექციის ამოცანაა შსს-ს თანამშრომელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა და მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრების განხილვა. გენერალური ინსპექცია მოქალაქეთა საჩივრების გარდა ასევე ეყრდნობა ინფორმაციის ისეთ წყაროებს, როგორიცაა სახალხო დამცველი, მას მედია და სხვა. გენერალური ინსპექცია ახორციელებს საქართველოს შსს-ს პერსონალის მიერ ჩადენილი დარღვევების გამოძიებას საქართველოს შსს დისციპლინური წესდებისა და პოლიციის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.[2]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციაში მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველო,[3] რომლის ძირითადი ფუნქციაა

[2] დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: **http://geninspeqcia.security.gov.ge/**

[3] დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: www.police.ge/M_a_humanrights.aspx.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შიდა მონიტორინგის განხორციელება.

სამმართველოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სრულყოფილად ხორციელდა დაკავებულ პირთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის ელექტრონული ბაზის წარმოება. იზოლატორებში ასევე მოქმედებს ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის მიწოდება/გაგზავნა სწრაფად და ეფექტურად ხორციელდება.

- შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულები სარგებლობენ გამარტივებული გასაჩივრების მექანიზმით, რომლის მიხედვით დაკავებულის ზეპირი საჩივარი საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველომ დაიწყოს აღნიშნული საჩივრის მიზეზების გამოძიება.

- თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში 24 საათიანი რეჟიმით მორიგეობს მედპერსონალი. მედპერსონალი პატიმრის სხეულის დათვალიერებას ახდენს იზოლატორში მიღებისას და გაყვანამდე, აგრეთვე ახორციელებს სანიტარულ კონტროლს საყოფაცხოვრებო და კვების პირობებზე.

- სხეულის დაზიანების შემთხვევაში, ოქმი დაუყოვნებლივ იგზავნება საგამოძიებო ორგანოებში შესაბამისი რეაგირებისთვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს მთავარ პროკურატურაში, თუ სახეზეა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები).

- შსს დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი დაკავებული პირის მიერ პოლიციის თანამშრომელთა მიმართ გამოთქმული რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში, მისი გარეგნული დათვალიერების ოქმი იგზავნება შსს გენერალურ ინსპექციაში.

- 2009 წლის განმავლობაში წინასწარი დაკავების იზოლატორებში მოთავსებულ იქნა 20 619 ადამიანი, მათ შორის დაზიანება აღენიშნებოდა 5901 დაკავებულს (აღსანაიშნავია, რომ აღნიშნული ციფრი მოიცავს ყველა იმ დაზიანებას, რაც აღმოჩნელილია პატიმრის სხეულზე, მიუხედვად ამ დაზიანების ასაკისა და წარმომავლობისა). პრეტენზია პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შესახებ გამოხატა 77-მა პატიმარმა. აღნიშნული პრეტენზიები გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისთვის. პროკურატურის ორგანოების მიერ 36 შემთხვევაში არ იქნა დადასტურებული პოლიციის მხრიდან ჩადენილი

რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება, დანარჩენ შემთხვევებზე მიმდინარეობს გამოძიება.

- შსს დროებით მოთავსების ყველა იზოლატორში განთავსებულია პლაკატები, სადაც 5 ენაზე (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) მოცემულია ინფორმაცია დაკავებულთა უფლებების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის ერთ-ერთ ეფექტურ წყაროდ იყენებს გადაცემას „პატრული", რომელიც ყოველდღიურად გადის ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს ეთერში. „პატრულში" დღის განმავლობაში, მომხდარ სხვა დანაშაულებთან ერთად, ყოველთვის გადაიცემა ინფორმაცია საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

2008 წელს საზოგადოების ინფორმირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ბეჭდავდა და მთელი საქართველოს მასშტაბით ავრცელებდა ჟურნალს - „ჩვენი პოლიცია", რომელიც მოიცავს ინფორმაციას პოლიციის საქმიანობის, ადამიანის უფლებების, გენერალური ინსპექციისა და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი სამმართველოს შესახებ და სხვა.

3.2. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლად შექმნილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტში[4] შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო, რომლის ფუნქციებში შედის ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება, აგრეთვე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში შემავალი თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილების მონიტორინგი, წამების, არაჰუმანური მოპყრობისა და დასჯის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.[5]

---

[4] იხილეთ საქართველოს მთავრობის №8 დადგენილება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

[5] სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება № 154, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 18 (1).

ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.[6] ასევე, ვებ-გვერდზე მოცემულია ცხელი ხაზის ნომერი, რომელის საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ დარეკონ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დატოვონ შეტყობინება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტის შესახებ.

3.3. მთავარი პროკურატურა

იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის გაერთიანების შემდეგ, 2009 წლის 31 მარტით დათარიღებული იუსტიციის მინისტრის №68 ბრძანებით, მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო[7]. სამმართველოს ერთ-ერთი ამოცანაა: „პროკურატურის ორგანოებში, ასევე დაკავების, წინასწარ პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე შემოსულ შეტყობინებებზე შესაბამისი რეაგირება და მონიტორინგი, წამების, ღირსების შემლახავი და არაჰუმანური მოპყრობის და დასჯის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება".[8] ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მიზნით საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებ-გვერდის ფარგლებში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს გვერდი,[9] რომელშიც მოცემულია აღნიშნული სამმართველოს საქმიანობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წარმომადგენელი სისტემატიურად ხვდება ფიზიკური დაზიანებებით შესახლებულ პატიმრებს. სამმართველოს შექმნიდან, კერძოდ, 2009 წლის 31 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, სამმართველოს წარმომადგენლები შეხვდნენ სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ 75

---

[6] იხილეთ: www.mcla.gov.ge

[7] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 02 ოქტომბრის №192 ბრძანება, საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 ივლისის №157 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

[8] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №275, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4 (3) (ა).

[9] იხილეთ: http://www.justice.gov.ge/index.php?sec_id=250&lang_id=GEO

პატიმარს, რომლებსაც სამედიცინო დათვალიერებისას აღმოაჩნდათ სხეულის დაზიანებები. ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მიზნად ისახავდა შეესწავლა ზემოთხსენებული დაზიანებების წარმომავლობა. ამ მონიტორინგის შედეგად შეგროვდა 7 პატიმრის განცხადება, რომელთა საფუძველზეც დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის შესაბამისად.

წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობისა და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე მყისიერი რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის დანაყოფებსა და საქართველოს პროკურატურის ორგანოებს საქართველოს მთავარი პროკურორის 2009 წლის 13 ოქტომბრის №132 §2 ბრძანებით, ევალებათ ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიაწოდონ ინფორმაცია წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი და არადამიანური მოპყრობის, განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტებისა ფაქტებთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის ანალიტიკურ და სტატისტიკურ დამუშავებას.

ამასთანავე, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ ნოვატორულ ფორმად ითვლება საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტი, რომელიც 2006 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. პროექტის მიზანია პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დანაშაულის პრევენცია, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის გაზრდა, პროკურატურის მიერ საზოგადოებრივი საჭიროებებისა შესახებ ცოდნის ამაღლება და პროკურორების მიერ ეთიკის კოდექსის იმ დებულებათა შესრულების გაძლიერება, რომელიც საზოგადოების წინაშე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ან ანგარიშვალდებულებასთან არის დაკავშირებული.

პროექტის არეალი 2009 წლის დეკემბრამდე მოიცავდა: ქ. მცხეთას, ქ. თელავს და ქ.თბილისის ძველი თბილისის რაიონებს. 2009 წლის დეკემბრიდან საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტი ასევე გავრცელდა შემდეგ რაიონებში: ახალციხე, შუახევი, ოზურგეთი, ზესტაფონი. საანგარიშო პერიოდის დასრულებისას პროექტი ხორციელდებოდა 7 რაიონში. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს დასაქმების პროგრამასაც, რაც გულისხმობს პრობაციონერი ახალგაზრდების, ასევე ბავშვთა სახლის აღსაზრდელების დასაქმებას სახელმწიფო ან კერძო უწყებებში.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ადგილობრივი სათათბირო საბჭოები. აღნიშნული საბჭოები ასრულებენ პროკურატურის სათათბირო ორგანოს ფუნქციას ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების საკითხებში. ადგილობრივ საბჭოებთან ერთად იგეგმება და ხორციელდება

პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რაც მიმართულია დანაშაულის შემცირებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდისკენ.

4. წამების წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წამება ჩადენილი სახელმწიფო მოხელის მიერ მძიმე დანაშაულად არის მიჩნეული[10] და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუტმეტ წლამდე. 2008 წელს სსკ-ის 144[1] მუხლის მეორე ნაწილის (ა) ქვეპუნქტით (წამება) გამოძიება დაიწყო 35 სისხლის სამართლის საქმეზე, ყოველი მათგანი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ. 35 საქმიდან გამოძიება მიმდინარეობს 23 საქმეზე, ხოლო 12 საქმეზე სისხლისამართლებრივი დევნა შეწყდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო.[11]

2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის მეორე ნაწილის (ა) ქვეპუნქტის საფუძველზე (დამამცირებელი ან არაჰუმანური მოპყრობა) გამოძიება დაიწყო 4 საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა წინააღმდეგ. 3 საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ხოლო 1 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

2009 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის (წამება) შესაბამისად გამოძიება დაიწყო 16 საქმეზე სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ. 5 საქმეზე გამოძიება შეწყდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ხოლო 11 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. 2009 წელს, ქუთაისის ციხის №2 დაწესებულების პატიმრების საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის (არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა) შესაბამისად. 2009 წლის სექტემბერში გამოძიება დაიწყო რუსთავის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე (სსსკ 143[3] მუხლზე). სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აწარმოებს გამოძიებას აღნიშნულ საქმეებზე.

ასევე, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის საფუძველზე (საჯარო მოხელის მიერ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) დაიწყო გამოძიება 1 საქმეზე, შეწყდა 2 საქმეზე და 1 საქმეზე სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

---

[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999) მუხლი №144[1] (2) (ა).

[11] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28 მუხლით განსაზღვრულია სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები.

2009 წელს დაფიქსირდა წამების მსხვერპლის კომპენსაციით უზრუნველყოფისერთი შემთხვევა. კერძოდ, 2007 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ თანამშრომელს 2003 წელს ჩადენილი დანაშაულისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიუსაჯა 7 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2008 წელს დაზარალებულმა საქმე აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში შესაბამისი კომპენსაციის მიღების მიზნით. 2009 წელს სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მსჯავრდებულებს ერთობლივად დააკისრა კომპენსაციის გადახდა 9000 ლარის ოდენობით დაზარალებულის სასარგებლოდ.[12]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში საჯარო მოხელეთათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის უფლებამოსილების შეჩერება ხორციელდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 89-ე მუხლის (თ) ქვეპუნქტისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXIII თავზე დაყრდნობით, რომელიც შეეხება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებას. საანგარიშო პერიოდში სისხლისამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა საჯარო მოხელის წინააღმდეგ.

წამების პრევენციის მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლი დაკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების დაფიქსირების შესახებ ითვალისწინებს დაკითხვა/ინტერვიუების ელექტრონული ან ვიდეო/ხმის ჩაწერის შესაძლებლობას, თუ დასაკითხი პირი შუამდგომლობს და უზრუნველყოფს ჩაწერას ტექნიკური საშუალებებით. მთავარი პროკურატურის მონაცემებით საანგარიშო პერიოდში 330 პირის დაკითხვა დაფიქსირდა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

[12] Case # 3/2304-08, Tbilisi City Court, 30 April 2009.

II. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და არსებული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია

წამების პრევენციის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მუშაობა რიგ საკანონმდებლო ცვლილებებზე. ამ პროცესშიაქტიურად არიან ჩართულნი როგორც სახელმწიფო ორგანოები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ახალი საკნონმდებლო პაკეტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. საკანონმდებლო ბაზის დახვეწის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, პატიმრობის კოდექსის კანონპროექტი, რომელიც საანგარიშო პერიოდში აქტიურად მუშავდებოდა ანგარიშში პატიმრობის კოდექსს ცალკე ქვეთავი ეძღვნება.

1. პატიმრობის კოდექსის კანონპროექტი

იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ფარგლებში მიმდინარეობს საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება, კერძოდ, მუშავდება პატიმრობის კოდექსის კანონპროექტი შემდეგი მიმართულებით:

- პატიმრობის კოდექსის პროექტის 99-ე მუხლის შესაბამისად, ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს და მათი ოჯახის წევრებს აქვთ ინდივიდუალური ან ჯგუფური საჩივრის შეტანის უფლება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლის წინააღმდეგ.

- კოდექსის პროექტის შესაბამისად, საჩივარი წამების, არაჰუმანური და შემლახავი მოპყრობის შესახებ ითვლება განსაკუთრებულ შემთხვევად და ექვემდებარება დაუყოვნებრივ განხილვას.

- პატიმართა პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შემუშავდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ახალი საპატიმრო კოდექსის მიხედვით შესაძლებელი იქნება დისციპლინური სახდელის საერთო სასამართლოში გასაჩივრება.

- აგრეთვე, კოდექსის პროექტი ითვალისწინებს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებას წელიწადში ორჯერ იმ პატიმრისათვის, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად დახურული ტიპის დაწესებულებაში. არასრულწლოვნები, ორსული ქალები და მცირეწლოვანი ბავშვების დედები სარგებლობენ ამ უფლებით წელიწადში 3-ჯერ. ხანმოკლე გასვლა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.

არსებული საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება-განხილვა მიმდინარეობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სასჯელაღსრულების სამუშაო ჯგუფის ფაგრლებში.[13] ზემოთხსენებული საბჭოს სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შედიან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პატიმრობის კოდექსის გამჭვირვალე და ეფექტური განხილვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით რამდენიმე შეხვედრა ჩატარდა 2009 წლის 20 ივნისს, 4-6 ივლისს, 11 ივლისა და 18 ივლისს. განხილვის პროცესში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების სექტორიდან:

- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
- საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI)
- ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია საქართველოში (NORLAG)
- ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი
- ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)
- ევროკომისიის იუსტიციის სამინისტროს განვითარების პროგრამა
- გაეროს ბავშვთა ფონდი
- ევროპის საბჭო
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია

2009 წლის გაზაფხულზე კანონპროექტი განსახილველად წარდგინეს ევროპის საბჭოს ექსპერტებს, რის გამოც საპარლამენტო განხილვები (მოსმენები) შეჩერდა.

2. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების შინაგანაწესის დახვეწა

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების შინაგანაწესი განისაზღვრება შესაბამისი რეჟიმის დებულების მიხედვით. ამ დროისთვის მოქმედებს სამი დებულება, რეჟიმების შესაბამისად, რომლებიცდამტკიცებულია იუსტიციის

[13] საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულება სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

მინისტრის ბრძანებით: საერთო რეჟიმის შესახებ,[14] მკაცრი რეჟიმის შესახებ,[15] საპყრობილის რეჟიმის შესახებ.[16]

ახალი პატიმრობის კოდექსის მიღების შემდეგ გაუქმდება ზემოთხსენებული დებულებები, ვინაიდან იცვლება რეჟიმის სახეობები - საერთო რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის და საპყრობილის რეჟიმის ნაცვლად იქნება ორი რეჟიმი: დახურული და ნახევრად-დახურული.

3. ეთიკის კოდექსის მიღება და იმპლემენტაცია

ეთიკის კოდექსები მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურასა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ეთიკის კოდექის შესრულებას ზედამხედველობს შესაბამისი უწყებების გენერალური ინსპექციები. აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედებს მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც ისმენს გენერალური ინსპექციის პერიოდულ ანგარიშებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მინისტრისათვის წარსადგენად და მინისტრის დავალებით განიხილავს ეთკის კოდექსის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს.[17]

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დისციპლინარული გადაცდომებისთვის 2009 წელს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები: შენიშვნა – 85 თანამშრომელი; საყვედური – 257 თანამშრომელი; სასტიკი საყვედური – 138 თანამშრომელი; თანამდებობიდან ჩამოქვეითება – 7 თანამშრომელი; დათხოვნა – 182 თანამშრომელი; სარეკომენდაციო ბარათი – 89 თანამშრომელი; რიგგარეშე სამ განაწესამდე დანიშვნა – 4 თანამშრომელი; სამსახურიდან განთავისუფლება – 8 თანამშრომელი; გაფრთხილება – 7 თანამშრომელი; ათი მორიგი დათხოვნის უფლების ჩამორთმევა – 11 თანამშრომელი; სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის დააკავეს 29 თანამშრომელი. დეტალური ინფორმაცია შსს-ს გენერალური ინსპექციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე.[18]

---

[14] იუსტიციის მინისტრის ბრძანება №365, 28.12.1999.

[15] იუსტიციის მინისტრის ბრძაინება №366, 28.12.1999.

[16] იუსტიციის მინისტრის ბრძანება №367, 28.12.1999.

[17] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №119, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ეთიკის კოდექსის მიღების შესახებ.

[18] **http://geninspeqcia.security.gov.ge/**

- სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა შემდეგი დისციპლინური ღონისძიებები: სიტყვიერი საყვედური – 20, საყვედური – 169, სასტიკი საყვედური – 32, გათავისუფლება – 18, გაფრთხილება/შენიშვნა – 16 და თანამდებობიდან დროებით გადაყენება – 3.

- იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში 2009 წელს დისციპლინური სახდელი გამოყენებული იქნა 42 პირის მიმართ, აქედან: შენიშვნა გამოეცხადა – 28, ხოლო საყვედური – 14 პირს. იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში, უშუალოდ ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით, პასუხისმგებლობა დაეკისრა 9 პროკურორს, აქედან: შენიშვნა – 1, საყვედური – 2, ცნობად მიღება – 6 (დისციპლინული პასუხისმგებლობა ცნობად იქნა მიღებული, ვინაიდან ეთიკის კოდექსის დამრღვევი პირი, ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტის გამოძიების დასრულებისას უკვე აღარ ირიცხებოდა იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის სამსახურებში). დეტალური ინფორმაციისათვის შეგიძლიათ იხილოთ პროკურატურის გენერალური ინსპექციის ვებ-გვერდი.[19]

აგრეთვე, ეთიკის კოდექსის ეფექტური იმპლემეტაციის უზრუნველსაყოფად გენერალურმა პროკურატურამ 2008 წელს ჩაატარა ტრენინგი პროკურორთა ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით. ტრენინგი გაიარა 61-მა პროკურორმა.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მუშაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის პოპულარიზაციისათვის 2008 წელს შეიქმნა და რამდენიმე ტელეკომპანიაში აქტიურად ცირკულირებდა კლიპი იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის შესახებ.

[19] http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69

III. თავისუფლებაშეზღუდულ პირთა პირობების გაუმჯობესება

სანამ თავისუფლებაშეზღუდულ პირთა პირობების გაუმჯობესებაზე ვისაუბრებთ, იხილეთ სასამართლოების მიერ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა:

წელი	დაპატიმრება	არასაპატიმრო	გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების რაოდენობა ჯამში
2009	50.6%	49.4%	15319
2008	44.7%	55.3%	15850
2007	43.7%	56.3%	20417
2006	58%	42%	17872
2005	55.2%	44.8%	12966

წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ პატიმართა პირობების გაუმჯობესება.

თავისუფლებაშეზღუდულ პირთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის ელექტრონული ბაზის წარმოება განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზეა დაწესებულებების მიხედვით. კერძოდ:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სრულყოფილად ხორციელდება დაკავებულ პირთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის ელექტრონული ბაზის წარმოება. აღნიშნული ბაზის ინფორმაცია კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ გარკვეული თანამდებობის პირებისათვის სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

- 2009 წლის ივლისიდან დეკემბრამდე მიმდინარეობდა პატიმართა რეგისტრირების ელექტრონული ბაზის შექმნა, რომელიც უკვე ეფექტურად ფუნქციონირებს.

- თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში ფუნქციონირებდა რამდენიმე აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც იწვევდა უზუსტობებს, ამჟამად

პროცედურა გამარტივდა და ჰაუპტვახტებში მოთავსებულთა აღრიცხვა/რეგისტრაცია ხორციელდება პატიმრობაშეფარდებულ მოსამსახურეთა სარეგისტრაციო წიგნში.

- თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში გაკრულია პლაკატები, სადაც აღწერილია დაკავებულთა სამართლებრივი გარანტიები და უფლებები.

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით დაწყებულია სამუშაოები და პილოტური პროგრამა თბილისის მასშტაბით უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას.

1. ჯანდაცვის სისტემა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიქმნა ახალი ჯანდაცვის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტი უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ სამედიცინო მომსახურებას. აგრეთვე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა ზოგადი გეგმა ჯანდაცვის სისტემის განვითარების კუთხით სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის. ზოგადი გეგმის გათვალისწინებით, ჯანდაცვის სისტემის რეფორმა მიზნად ისახავს სამოქალაქო და სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემების გაერთიანებას; სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; ჯანდაცვის სისტემის მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით შემუშავდება ჯანდაცვის სტრატეგია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ზოგად გეგმაში განსაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები:

- სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის განვითარება ეროვნული ჯანდაცვის სისტემასთან მიმართებაში;

- მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

- სპეციალური გაიდლაინებისა და სტანდარტების შემუშავება და შეფასების კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება;

- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტირება;

- ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ და ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეების გათვალისწინებით, 2009 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა ერთობლივი

ბრძანება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პენიტენციალურ სისტემაში მყოფი C ვირუსუსლი ჰეპატიტით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის სტრატეგიასთან დაკავშირებით. დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაკავებულების ჯანმრთელობა და მკურნალობა C ჰეპატიტის წინააღმდეგ წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს. დოკუმენტი ითვალისწინებს 4 მეთოდს: პრევენცია, პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებაში განთავსება, მკურნალობა და მკურნალობის შემდგომი პერიოდი.

2009 წლის დეკემბრიდან თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პირთა შესვლისას სამედიცინო შემოწმების დახვეწის მიზნით დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისას ყველა პატიმრის სკრინინგი. აღნიშნული სკრინინგი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (1) დაზიანებების აღწერილობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ადრე გადატანილი ავადმყოფობების აღწერილობას (ანამნეზს); ტუბერკულოზზე, აივ ინფექცია/შიდსზე, ჰეპატიტებზე, სხვა ინფექციურ დაავადებებზე, ფსიქიურ, ვენერიულ და სხვა ქრონიკულ დაავადებებზე ინფორმაციის შეგროვებასა და დაფიქსირებას; ნარკოდამოკიდებულების გამოვლენას; (2) სტომატოლოგიური პრობლემების გამოვლენა და სრულფასოვანი მკურნალობა; (3) ფსიქიკური აშლილობების პირველადი გამოვლენა, მწვავე შემთხვევების მართვა და შემდგომში პროფილის შესაბამისი მიმართულების მიცემა; (4) ანტიტუბერკულოზური პროგრამით უზრუნველყოფა; (5) შიდსის მკურნალობა (არასტაციონარული შემთხვევებისას); (6) ოპიოიდებზე დამოკიდებულთა დეტოქსიკაცია და ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის გამოყენება; (7) ყველა სახის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; (8) მცირე ქირურგიული დახმარების აღმოჩენა; (9) ქრონიკული დაავადებების შესაბამისი კონსულტაციური მომსახურებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

ამასთან, პირველადი სკრინინგის პარარელურად დაიწყო თითოეული პატიმრის სამედიცინო ფაილის წარმოება. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №771 ბრძანებით განისაზღვრა სამედიცინო ბარათის ფორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ყველა შინაგან საქმეთა სამინისტროს დრობითი მოთავსების იზოლატორში 24 საათიანი რეჟიმით მორიგეობს კვალიფიციური მედპერსონალი. შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით მოთავსების რეგიონალურ იზოლატორებში კი დაკავებულის მიყვანის შემთხვევაში საჭიროებისამებრ ხდება სამედიცინო დახმარების გამოძახება. სხვა შემთხვევებში იზოლატორის თანამშრომლები ახდენენ სხეულის გარეგნულ დათვალიერებას მასზე სხეულის დაზიანების რაიმე კვალის დაფიქსირების მიზნით, რის შემდეგაც ივსება შესაბამისი ოქმი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე შესაბამისი

უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და საჭირო სპეციალობის დამადასტურებელი სერთიფიკატის მქონე კანდიდატებს შორის.

ჰაუპტვახტებში სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მუდმივი სამედიცინო პერსონალის მიერ. ვაზიანისა და სენაკის ჰაუპტვახტებში დანიშნულია სამ-სამი კვალიფიციური ექიმი.

სამოქალაქო სექტორის მიერ პატიმრებისათვის შეთავაზებულია რამდენიმე სარეაბილიტაციო პროგრამა, მათ შორის აღსანიშნავია:

- ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“ ნარკოტიკზე დამოკიდებული პატიმრებისთვის №5 საპყრობილეში, ქუთაისის №2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ქ. რუსთავის №6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში.

- არასრულწლოვანთა დაწესებულებაში აგრეთვე ფუნქციონირებს თიხის არტ-სტუდია, არტ-თერაპია ორგანიზებული “ემპათიის” მიერ.

- არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ფსიქო-სოციულურ რეაბილიტაციას ახორციელებს სარეაბილიტაციო ცენტრი GCRT.

2009 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა ბავშვთა ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის სტაციონარულ მომსახურების კომპონენტს დაემატა ახალი ქვეკომპონენტი – ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება, რომელიც მოიცავს 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ნეიროფსიქიატრიული აშლილობების მკურნალობას. აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით 2009 წლის 1 ოქტომბერს ხელშეკრულება გაფორმდა სს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოსთან. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ აღნიშნული ერთეული შეიქმნა მრავალპროფილურ საავადმყოფოში, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ანტისტიგმის ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ბავშვისთვის ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების მიწოდება (სს მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკის საავამდყოფოში) მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს აქვს შემდეგი ჩივილები: რეაქცია მწვავე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები; სომატოფორმული აშლილობები; საკვების მიღებასთან დაკავშირებული დარღვევები; არაორგანული ხასიათის ძილის დარღვევები; მეტყველების სპეციფიური აშლილობა; განვითარების ზოგადი აშლილობა; ჰიპერკინეტიკური აშლილობა; ქცევის აშლილობები; ემოციური აშლილობები; სოციალური ფუნქციონირების აშლილობა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში სპეციფიური დასაწყისით; ტიკები; ან/და სხვა ქცევითი და ემოციური აშლილობები ბავშვებსა და მოზარდებში.

ამასთან, “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული იქნა გაიდლაინები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული გაიდლაინები სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ეფექტური მკურნალობის უზრუნველყოფას შესაბამისი დაავადებების შემთხვევებში, კერძოდ: შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობანი; ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა (ოკა); მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; პანიკური აშლილობა; გუნება-განწყობის (აფექტური) აშლილობა და ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. ზემოთხსენებული გაიდლაინები განთავსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე.[20]

2. კვება, ჰიგიენა

მსჯავრდებულთა სასურსათო კვების ულუფის ნორმა მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. ამ პერიოდისათვის თითოეული პატიმირისათვის განკუთვნილი კვების თვიური რაოდენობა ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 90 ლარს. 2009 წელს კვებისათვის გამოყოფილმა თანხამ ჯამში შეადგინა 25.669.000 ლარი. კვებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ზრდის დინამიკა ასე გამოიყურება:

წელი	*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საერთო ბიუჯეტი*	*კვების თანხა*
2003	9.019.800	2.258.900
2004	11.017.500	2.760.000
2005	19.115.500	2.669.600
2006	31.801.200	3.114.000
2007	82.286.200	10.800.000
2008	93.131.00	19.500.854
2009	111.100.100	25.669.000

[20] იხილეთ www.moh.gov.ge.

აგრეთვე კვების გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას ხელს უწყობს არსებული მაღაზიის ფუნქციონირება ყველა დაწესებულებაში, სადაც პატიმრებს, როგორც მსჯავრდებულებს, ასევე ბრალდებულებს შეუძლიათ უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძინონ დამატებითი კვების პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა შპს "მეგაფუდ"-თან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი ვალდებულია უზრუნველყოს პატიმართა კვება.

ჰიგიენის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს რომ მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია თავისუფლების შეზღუდვის ყველა დაწესებულებაში, კერძოდ, საპირფარეშოები განცალკევებულია და დაცულია სანიტარია; კვირაში მინიმუმ ერთხელ ყველა პატიმარს აქვს შხაპის მიღების საშუალება. ასევე, 2008 წლის 18 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის მიზნით გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე კომპანიასთან. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიები ვალდებულები არიან პატიმრებს მიაწოდონ: ხელის საპონი, სამეურნეო დანიშნულების სარეცხი საპონი, კბილის ჯაგრისი, ბალიშები, პირსახოცები, ზაფხულისა და ზამთრის ტანსაცმელები და ა.შ.

აგრეთვე, პატიმრები უზრუნველყფილნი არიან პირველადი მოხმარების საგნებით, მათ შორის კალმითა და ქაღალდით, რაც აუცილებელია საჩივრის დასაწერად. პატიმრებს საწერი კალამი და ქაღალდი დამატებით მიეწოდებათ ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. ყველა პატიმრისათვის უზრუნველყოფილია ყოველდღიურად მინიმუმ 1 საათიანი გასეირნება.

3. სარემონტო სამუშაოები

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების სარემონტო სამუშაოები ჩატარდა შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების ფარგლებში.

3.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში გარემონტდა შემდეგი დროებითი მოთავსების იზოლატორები: თბილისის № 1; თბილისის № 2; ზუგდიდის № 1; ზუგდიდის № 2; კასპის; ხობის; ჩხოროწყუს; ჩოხატაურის; ყაზბეგის; ქობულეთის, სენაკი, თერჯოლა, ლენტეხი, ამბროლაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ადიგენი, მცხეთა, დუშეთი, თეთრიწყარო, თელავი, გარდაბანი.

- ამჟამად რემონტდება ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორი.

3.2. იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

- №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება – სარემონტო სამუშაოები;
- ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება – კარცერების სარემონტო სამუშაოები;
- №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება – სარემონტო სამუშაოები;
- №1 საპყრობილე – სარემონტო სამუშაოები;
- ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება;
- ბათუმის №3 საპყრობილე – სარემონტო სამუშაოები;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება – გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება – რენტგენის კაბინეტის სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების კაპიტალური რემონტი.

3.3. თავდაცვის სამინისტრო

- 2008 წელს დასრულდა კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური საამართველოს ჰაუპტვახტის მშენებლობა (ვაზიანში – 56 ადგილი);
- 2008 წელს დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტის მშენებლობა (სენაკში – 72 ადგილი).
- შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტი გორში დღეისათვის არ გამოიყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და წინსაწარი დაკავების ფაქტების

მცირე რაოდენობაა, ზემოაღნიშნული ორი ჰაუპტვახტი სრულიად აკმაყოფილებს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მოთხოვნებს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოქმედი ჰაუპტვახტები განლაგებულია რეგიონალური პრინციპით – სენაკის ჰაუპტვახტი განკუთვნილია დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო ვაზიანის ჰაუპტვახტი – აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

3.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2008-2009 წლის საანგარიშო პერიოდში შპს "აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათ შორის გარე გაზმომარაგების სამუშაოების პროექტირება და გარე გაზგაყვანილობის სამუშაოები. აღნიშნული ცენტრის რეაბილიტაციის გაგრძელება იგეგმება 2010 წელსაც.

4. პატიმართა განათლება

პატიმართა განათლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სახელმწიფო ორგანოების მიერ, ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც განხორციელდა სამოქალაქო სექტორის მიერ.

4.1. სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის განახორციელა ოთხი სპეციალური საგანმანათლებლო ქვეპროგრამა:

- „სასჯელაღსრულების არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა". ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი აქტივობები, კერძოდ: გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი პედაგოგთა შესარჩევად. კონკურსის შედეგად სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ იქნა ათი საგნის პედაგოგი და მათ შორის ერთ-ერთი პედაგოგთა ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებებისა ცენტრმა განხორციელა სპეციალური ტრენინგები პედაგოგებისთვის. ასევე, შეძენილ იქნა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სასწავლო მასალების, რომლებიც გადაეცათ როგორც მსჯავრდებულ მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს.

შესაბამისად, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 2009 წლის სექტემბრიდან ზოგადი განათლების მიღების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების სახელობო საგანმანათლებლო კურსი არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის". აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანი მსჯავრებულების 10 კაციან ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა 4 თვის განმავლობაში (2009 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) შეესწავლა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური კურსი – ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოს-ოპერატორის კვალიფიკაციით. ქვეპროგრამა ასევე მიზნად ისახავდა კონკურენტუნარიანი სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფადცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, წარმატებულმა მოსწავლეებმა შემაჯამებელ საფეხურზე მიიღეს საკუთარი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატები. პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში შეტანილ იქნა 10 ცალი კომპიუტერი.

- „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა № 5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა"; ქვეპროგრამის ფარგლებში 5-მდე არასრულწლოვან გოგონას შესაძლებლობა მიეცა შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნები.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდა რიგი აქტივობები, კერძოდ: გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა ქალთა და არასრულწლოვანთა № 5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში პედაგოგთა და პედაგოგთა ჯგუფის ხელმძღვანელის შესარჩევად. კონკურსის შედეგად სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ იქნა ექვსი საგნის პედაგოგი, მათ შორის ერთ-ერთი პედაგოგთა ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეირჩა. შერჩეულ პედაგოგებს ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრის მიერ. ასევე, განხორციელდა სწავლის პროცესისთვის აუცილებელი სასწავლო მასალების იდენტიფიცირება და შესყიდვა როგორც მსჯავრდებული მოსწავლეებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის. ასევე, შესყიდულ იქნა კომბინირებული ქსეროქსი/პრინტერი/სკანერი. სასჯელაღსრულების დაწესებულების და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციასთან ერთად შეირჩა სპეციალური ოთახი, სადაც ხორციელდება სწავლება. 2009 წლის სექტემბრიდან აღნიშნულ დაწესებულებაში უწყვეტად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო კურსი ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში". ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის კვალიფიციური პედაგოგის მიერ წინასწარ შედგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით ჯგუფის წევრმა არასრულწლოვნებმა 4 თვის მანძილზე შეისწავლეს მულტიმედია ტექნოლოგიები. კურსი გაიარა №5 დაწესებულებაში მყოფმა სამმა არასრულწლოვანმა. წარმატებულმა მოსწავლეებმა შემაჯამებელ საფეხურზე მიიღეს საკუთარი ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 3 დეკემბრის №1097 ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და №5 ქალთა და არასრულწლოვანთა მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ირიცხებიან №123 საჯარო სკოლაში და ზოგადი განათლების პროცესს ორგანიზებას უწევს ზემოაღნიშნული საჯარო სკოლა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსჯავრდებულებს, რომლებიც იღებენ ზოგად განათლებას უზრუნველყოფს ვაუჩერული დაფინანსებით. შედეგად თითოეული მსჯავრდებული მოსწავლე დაუყოვნებლივ იღებს ატესტატს დამატებითი გამოცდების ჩაბარების გარეშე. ამასთან, აღნიშნული სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესი სრულიად შეესაბამება სახელმწიფოში მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმას.

4.2. სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

არასამთავრობო ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროექტები განახორციელეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ამგვარი პროექტის მოკლე დახასიათება.

2009 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო მინანქრის სახელოსნომ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, პროექტი ხორციელდება სარეაბილიტაციო ცენტრის GCRT-ის მიერ ილია ჭავჭავაძის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, წარმატებულ სტუდენტებს გადაეცემათ უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერთიფიკატი.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის №4 საპყრობილეში ასოციაციის „თანაზიარი" მიერ განხორციელდა ულწლოვანებისათვის კომპიუტერის კურსის სწავლება.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის №2 საპყრობილეში გაგრძელდა არსებული ვებ-სტუდიის ფუნქციონირება და კომპიუტერული კურსის სწავლება ორგანიზებული

დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრის მიერ სტუდიის გადატანა იგეგმება გეგუთის №8 დაწესებულებაში.

საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში საქველმოქმედო ფონდის „ზარები" მიერ განახლდა ბიბლიოთეკა და განხორციელდა პატიმართათვის კომპიუტერის კურსების სწავლება.

2009 წლიდან ასოციაციის „ქალი და ბიზნესი" მიერ ქალთა საერთო რეჟიმის №5 საპყრობილეში ჩატარდა ბიზნეს განათლებისა და პროფესიული მომზადების ტრენინგები.

IV. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

წამების წინააღმდეგ კამპანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, როგორც ძირითადი ადამიანის უფლება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, საგანმანათლო ღონისძიებების მასმედიისა და დაბეჭდილი მასალების გამოყენებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად საგანი „სამოქალაქო განათლება", სავალდებულო საგნად შეტანილია საშუალო განათლების კურიკულუმში. ეს საგანი ისწავლება მე-9 და მე-10 კლასებში და მოიცავს ნაწილს ადამიანის უფლებათა შესახებ.

2008 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და სრული დაფინანსებით, განხორციელდა საქართველოს სკოლებში მოსწავლეების ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, პოლიციელებმა საქართველოს ყველა სკოლის მასშტაბით ჩაატარეს ინტერაქტიული გაკვეთილები და პრეზენტაციები მოსწავლეებისათვის დანაშაულის მავნებლობაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებულ რისკებზე და პასუხისმგებლობაზე და სხვა.

2008 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „ჰარმონიის" თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი „საქართველოს სამართლებრივი განათლება", წინასწარ შერჩეული სამართალდამცავების მიერ, სკოლის პედაგოგებთან ერთად განხორციელდა „სამართლებრივი კულტურის" საგნის სწავლება 1300 მე-9 კლასელისათვის, 20 სკოლაში: თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში. საპილოტე პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ დაიგეგმა პროექტის მეორე ეტაპი, რაც ითვალისწინებს სახელმძღვანელოების განახლებას და პროექტში სკოლების ჩართულობის ზრდას.

იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ფარგლებში ამჟამად შემუშავების პროცესშია საინფორმაციო ბუკლეტი ადამიანის უფლებათა შესახებ; ეს ბუკლეტი განკუთვნილია პატიმრებისათვის. მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად მასში გათვალისწინებულია წამების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული თემატიკა, მათ შორის, კომპენსაციის უფლების შესახებ ინფორმაციაც.

უფასო იურიდიული მომსახურების ხელშეწყობით წარმატებით ხორციელდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

პროექტის „მობილური იურიდიული დახმარება" ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 36 გასვლითი კონსულტაცია გამართეს. შეხვედრების დროს საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები მოქალაქეებს სხვადასხვა

სამართლებრივ თემებზე აწვდიდნენ ინფორმაციას და სამსახურის საინფორმაციო ბუკლეტებს ურიგებდნენ.

OSGF-ის გრანტის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ-გვერდის[21] პროექტზე.

2008 წლის 7-8 ივნისს იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებისა და რეგიონული მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა სემინარი. შედეგად იურიდიული დახმარების ბიუროების საქმიანობისადმი ჟურნალისტების ინტერესი გაიზარდა: მომზადდა 40 სატელევიზიო სიუჟეტი და ინტერვიუ, 8 საგაზეთო სტატია, 2 რადიო ინტერვიუ სხვადასხვა რეგიონული მედია საშუალებებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულმა ბიუროებმა ერთწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამეს 2008 წელს და გამართეს 9 პრეზენტაცია ადგილობრივი ხელისუფლების, პროკურატურის, სასამართლოს, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის. მსგავსი პრეზენტაციები ჩატარდა 2009 წელსაც.

[21] იხილეთ: www.legalaid.ge

V. არასრულწლოვან პატიმართა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფა

როგორც ზემოთ აღინიშნა, პატიმრობის კოდექსის კანონპროექტზე მუშაობის ფარგლებში საკანონმდებლო ინიციატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით შემუშავების პროცესშია. აქცენტი კეთდება დანაშაულის პრევენციაზე.

2009 წლის 27 ივლისს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგია/სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას, რომელიც ორიენტირებული იქნება პრევენციაზე, რეაბილიტაციასა და ინტეგრაციაზე. იგეგმება რადიკალური ცვლილებების გატარება, კერძოდ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანის მიმართ პროკურორის დისკრეციაზე იქნება დამოკიდებული. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივები განსაზღვრული იქნება კანონით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 12 წლიდან აიწევს 14 წლამდე.

პატიმრობის კოდექსის კანონპროექტის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა ყოველ 3 თვეში.

VI. სამართალდამცავთა და მოსამართლეთა პროფესიული განვითარება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებულ იქნა რიგი ტრენინგები, რომელიც რელევანტურია წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ტრენინგები ჩამოთვლილია სახელმწიფო დაწესებულებების მიხედვით.

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გადამეტებული ძალის გამოყენების სამართლებრივი საკითხების შესწავლისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას მომავალი პოლიციელებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სახელმძღვანელო ვრცლად მოიცავს ტაქტიკური ტრენინგის კურსს, შიდა კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის კურსს. აღნიშნული კურსები დეტალურად განიხილავს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების საკითხებს. პოლიციელთა ტრენინგის პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ კურსებს, დაკითხვის მეთოდებსა და არასრულწლოვან დამნაშავეთა ფსიქოლოგიას.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო და შესაბამისი ტრეინინგ-მოდულები ძალის გამოყენების შესახებ პოლიციის აკადემიის მსმენელებისათვის. აკადემია ტრეინინგ-მოდულების შემუშავებისას ხელმძღვანელობს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენტური რეკომენდაციებით. ძალის გამოყენების შესახებ შექმნილი სახელმძღვანელოც წარმოადგენს ასეთი თანამშრომლობის პროდუქტს. მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის უფლებების თემატიკაში. საგანი შეადგენს კურსის 15 პროცენტს.

ა. *ფიზიკური იძულების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები*, მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა საშუალებების, ძალის თანმიმდევრობისა და ესკალაციის, გამაფრთხილებელი ზომების მიღების, ამავე დროს სასჯელის სახეებისა და სისხლისსამართლევრივი სანქციების არასწორი გამოყენების საკითხებს. პოლიციის აკადემიის სტუდენტები სწავლობენ პოლიციის შესახებ კანონს, რომელიც დეტალურად აწესრიგებს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებს და ასევე -სისხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მიმდინარე პოლიციის საბაზისო ტრენინგის პროგრამა ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის ინტენსიურ კურსს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება

ეთმობა სიცოცხლის უფლებას, პოლიციელების მიერ ცეხცლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებასთან მიმართებით.

ბ. *ტაქტიკური ტრეინინგი* მოიცავს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვანია სახიფათო მდგომარეობის დროს, მათ შორის, რისკისა და საფრთხის სწორი შეფასება, აგრეთვე ძალის გამოყენების მეთოდები და ა.შ. აღნიშნული კურსის მსვლელობის დროს, სტუდენტები იძენენ საჭირო კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს სახიფათო შემთხვევის კონტროლის მიზნით და სწავლობენ, რომ ძალის გამოყენებას უნდა მიმართონ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს.

გ. *ცეცხლსასროლი იარაღისა და სხვა საშუალებების გამოყენება* არის კანონიერი და ეფექტური საშუალებების გამოყენების პრაქტიკული ტრენინგი მომავალი პოლიციელებისთვის. კურსი ტარდება ტრენინგის სახით. აკადემიის სტუდენტები მონაწილეობენ პოლიციის იმიტირებულ ოპერაციებში. კურსის ბოლოს ტარდება პრაქტიკული გამოცდა, ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტი ვერ გახდება პოლიციელი.

2. პროკურატურა

მთავარი პროკურატურა რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ტრენინგებს. ანგარიშში წარმოდგენილია იმ ტრენინგების სია, რომლებიც უზრუნველყოფს პროკურორების პროფესიულ განვითარებას (სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე):

- 7 მარტს ტრენინგი თემაზე "ბრძოლა წამების წინააღმდეგ" ჩაუტარდა 7 პროკურორს (მთავარი პროკურატურიდან და თბილისის რაიონული პროკურატურებიდან);
- 16-20 მარტს ტრენინგი თემაზე "ოჯახური ძალადობა" ჩაუტარდა 6 პროკურორს;
- 24 აპრილს ტრენერთა ტრენინგი პროკურირებისათვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით) ჩაუტარდა 30 ტრენერ-პროკურორს საქართველოს ყველა რეგიონიდან;
- 5, 6 და 7 ივნისს ტრენინგი თემაზე "წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება" ჩაუტარდა 76 მონაწილეს (პროკურორები და გამომძიებლები მთავარი პროკურატურიდან, ქ. თბილისის პროკურატურიდან, ქ. თბილისის რაიონული პროკურატურებიდან, (სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის საოლქო და რაიონული პროკურატურებიდან, ასევე აჭარის ა/რ პროკურატურიდან);

- 12-15 ივნისს ტრენინგი თემაზე "ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართალში" ჩაუტარდა 52 მონაწილეს (პროკურორი და გამომძიებლები);
- 29 ივნისიდან 16 ივლისამდე ტრენინგი ჩაუტარდა 263 მონაწილეს (პროკურორები და გამომძიებლები) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებში;
- 16-18 ივლისს ტრენინგი თემაზე "ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სასამართლო უნარ-ჩვევები" ჩაუტარდა 12 პროკურორს;
- 11-12 აგვისტოს ტრენინგი თემაზე "საერთაშორისო თანამშრომლობა, ექსტრადიციის პროცედურები" ჩაუტარდა 76 პროკურორს;
- 3 ოქტომბერს პრაქტიკული ტრენინგი თემაზე "ბრძოლა წამების წინააღმდეგ: სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის" ჩაუტარდა 8 პროკურორს.

3. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

2009 წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომელთა სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები. კერძოდ, გამოიყო სამი საათი წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკასთან დაკავშირებით. 2008 წელს აღნიშნული სასწავლო პროგრამის შესაბამისად სასწავლო კურსი გაიარა სასჯელაღსრულების სისტემის სარეჟიმო სამსახურის 227 თანამშრომელმა, რომელიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

2008 წელს დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სასწავლო ცენტრმა ჩაატარა სემინარი სასჯელაღსრულების სისტემაში საერთაშორისო და რეგიონალური ადამიანის უფლებების შესახებ (4-6 აპრილი). სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სასჯელაღსრულების 15 წარმომადგენელი.

ამავე დროს, საქართველოში პრობაციისა და ციხების სისტემების რეფორმასთან დაკავშირებით ჩატარდა შემდეგი სემინარები:

- რუსთავის ციხე № 6, 2008 წლის 19-22 თებერვალი (6 თანამშრომელი) და 14-16 მაისი (10 თანამშრომელი).

- 2008 წლის 4-13 ივნისი 82 პრობაციის ოფიცერისთვის:

- 2008 წლის ივლისში 11 დღიანი ტრენინგი 99 თანამშრომლისთვის, ხოლო 2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერში 22 თანამშრომლისთვის.

2009 წელს ციხის საერთაშორისო რეფორმასთან თანამშრომლობის ფარგლებში 76 სასჯელაღსრულების სისტემის თამაშრომლისათვის ჩატარდა ერთდღიანი ტრეინინგი თემაზე: "წამების აკრძალვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ასპექტები". საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ემპათია" ჩაატარა ტრენინგები ფსიქიატრიული დაწესებულებისა და პენიტენციალური დაწესებულების სამედიცინო პერსონალისათვის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანებების მქონე პირების მიმართ ეფექტიანი გამოძიების, დოკუმენტაციისა და ფსიქოლოგიური მიდგომის შესახებ სტამბულის პროტოკოლის შესაბამისად.

ამასთან, 2009 წელს მომზადება გაიარა სასჯელაღსრულების სისტემის 422-მა თანამშრომელმა სხვადასხვა სასწავლო პროგრამით, რომელშიც ცალკე თემად გამოყოფილია წამების აკრძალვის საკითხი.

4. სასამართლო

- 2008 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, გაეროს ბავშვთა ფონდთან და ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიასთან თანამშრომლობით, ჩაატარა 8 სემინარი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით. ამ ტრენინგების ფარგლებში სწავლება გაიარა 178-მა მოსამართლემ.

- კურსი არასრულწლოვან მართლმსაჯულებაზე სავალდებულო წესით უტარდებათ მომავალ მოსამართლეებს – იუსტიციის მსმენელებს – 14 თვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში მსმენელების 2 ჯგუფს ჩაუტარდა აღნიშნული სწავლება, სულ 18 მსმენელს.

- 2009 წელს გადამეტებული ძალის გამოყენება განხილულ იქნა ერთ-ერთ საკითხად სისხლის სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის დროს. აღნიშნული სემინარი გაიმართა 2009 წლის 21-22 თებერვალს. მონაწილეობდა 23 მოსამართლე.

- 2009 წლის 7 მარტს და 3 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩატარდა სემინარი "წამების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ". სემინარი ჩატარდა წამების პრევენციის ასოციაციის (Association for Preventin of Torture) ექსპერტის მიერ. სემინარში მონაწილეობა მიიღეს როგორც სასამართლო სისტემის და პროკურატურის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა და ადვოკატებმა. სასამართლო ხელისუფლებიდან სემინარს დაესწრო სულ 12 წარმომადგენელი (მოსამართლეები და მოსამართლის თანაშემწეები).

- 2009 წლის აპრილი – დეკემბრის თვეების განმავლობაში რეგულარულად (ყოველ ორ თვეში ერთხელ) ტარდებოდა სემინარები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლებთან დაკავშირებით. სემინარი ჩატარდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მოსამართლეები, მოსამართლის თანაშემწეები და მოსამართლეობის კანდიდატები. სემინარი ჩაუტარდა 50 მოსამართლეს და მოსამართლის თანაშემწეს, 25 მოსმართლეობის კანდიდატს და იუსტიციის მსმენელს.